პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 2 (6067)

1978 წ. 3 იანვარი, სამშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ვიმუშაოთ უკეთ, ვიდრე გუშინ, ხვალ — უკეთ, ვიდრე დღეს — ასეთია სადღეისო ლოზუნგი

# კვლავაც რომ დაიზარდონ...

1978-მა უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები გრძელ, 365-დღიან გზაზე — დაიწყო ხუთწლედის მესამე წელიწადი, რომლის მიჯნები მკაფიოდ განსაზღვრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ. აქ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა მუშაკს ნათლად დაუსახა წლის საბრძოლო ამოცანები, რომლებიც ითვალისწინებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალ, ძხიძვხეულოვან აღმავლობას.

მიმდინარე წელი იქნება, აგრეთვე, ხუთწლედის სოციალური პროგრამის ხორცშესხმის ახალი ეტაპი. **საკმარისია გავიხსენოთ, რომ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ზრდასთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის დამატებით გამოყოფილია 8,2 მილიარდი მანეთი.** აქედან ნათლად ჩანს ფიზკულტურისა და სპორტის — ჩვენი საზოგადოების სოციალური განვითარების ერთ-ერთი ორგანული შემადგენელი ნაწილის, განვითარების დიდი პერსპექტივები. მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა დარგის განვითარება წარმოუდგენელია შემართებული, თავდადებული შრომის გარეშე. მხოლოდ ადამიანებს, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლის შესრულება პარტიის ამ გრანდიოზულ გეგმათა განხორციელებაში.

**მიმდინარე წელი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადების გადამწყვეტი წელია.** სწორედ წელს უნდა გამოიკვეთოს იმ ნაკრებ გუნდთა ძირითადი კონტურები, რომლებიც გაისად დაიცავენ რესპუბლიკის ღირსებას ქვეყნის ამ უდიდეს სპორტულ ფორუმზე.

აქედან ნათლად ჩანს ჩვენი სპორტული ორგანიზაციების საბრძოლო პროგრამა, მათი ამოცანები. სპორტსაზოგადოებებმა, სპორტსკოლებმა, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებმა და ჯგუფებმა ახალი წლის პირველი დღეებიდანვე უნდა დაისახონ მთავარი ორიენტირი და ამ მიზნის მისაღწევად აწარმოონ სისტემატური, შემოქმედებითი შრომა. **აქ მთავარი და გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან ჩვენმა მწვრთნელებმა.** მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ თანამედროვე პირობებში წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია, თუ არ იმუშავებენ თავიანთი თეორიული ცოდნის გამდიდრება-გაღრმავებაზე, თუ ფართოდ არ გამოიყენებენ მეცნიერების უახლეს მიღწევებს, არ დაეყრდნობიან სპორტული მედიცინის დასკვნებსა და რეკომენდაციებს. თანამედროვე აღმზრდელი უნდა იყოს არა მარტო პრაქტიკოსი, არამედ კარგი თეორეტიკოსი, ყოველმხრივ განვითარებული მაღალინტელექტუალური სპეციალისტი. ამავე დროს მწვრთნელებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ სპორტსმენთა როგორც ფიზიკურ წვრთნას, ისე ალსაზრდელთა მაღალი მორალურ-ნებელობითი თვისებების გამომუშავებას.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა წარმატებები, ეჭვგარეშეა, იმრავლებს, თუ მიმდინარე წელს გავაგრძელებთ პრაქტიკულ საქმიანობას **მატერიალურ-ტექნიკური ბაზების განმტკიცებისთვის.** როგორც საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა, ჩვენი რესპუბლიკისთვის ეს არის № 1 პრობლემა. თქმა არ უნდა, რომ გასულ წელს ბევრი პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა მის გადასაჭრელად: — მარტივი ტიპისა და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი დიდი სპორტული მოედნები, დარბაზები და კომპლექსები მოეწყო თბილისის ბევრ რაიონში, საქართველოს რაიონულ ცენტრებში და სხვა ქალაქებში (ლაგოდეხში, მესტიაში, წყალტუბოს რაიონში, გორში და სხვ.). საფუძველი ჩაეყარა ან დასასრულს უახლოვდება საცურაო აუზების, მოედნების მშენებლობა (თბილისში, აფხაზეთში, ბორჯომში, ცხინვალში). ეს, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, მაგრამ აქვე გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ რაც ამ მიმართებით გაკეთდა, სრულიადაც არ არის საკმარისი. ჯერ კიდევ ძალაში რჩება რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივზე გამოთქმული მოსაზრება, რომ „საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ მსხვილი საწარმოების, კოლმეურნეობების, სასწავლებლების ხელმძღვანელებმა, რომლებსაც ყველა შესაძლებლობა აქვთ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობისათვის".

დიდი და გამოუყენებელი რეზერვები გვაქვს, აგრეთვე **მასობრივი სპორტის, ტურიზმის განვითარების საქმეში.** განა ყველა დიდ საწარმოში თუ დაწესებულებაში სრულად ვიყენებთ ფიზკულტურისა და სპორტის შესაძლებლობებს?

შარშან დაწყებული ბევრი სასარგებლო წამოწყება (მათ შორის სკოლებში დიდი დასვენების შემოღება, საწარმოო ტანვარჯიშის აუცილებელი ჩატარება, გამაჯანსაღებელი ჯგუფების გახსნა) წელს უნდა განვამტკიცოთ და განვითარების ახალ საფეხურზე ავიყვანოთ.

**და ეს ყველაფერი უნდა დავიწყოთ დღესვე, ახლავე, დაუყოვნებლივ.** მხოლოდ დღენიადაგი ზრუნვა და რუდუნება, მხოლოდ სისტემატური, გეგმაზომიერი მუშაობა მოგვცემს იმის საფუძველს, რომ საქართველოს სამართლიანად ეწოდოს დიდი სპორტის რესპუბლიკა, რომელიც კვლავაც აღზრდის საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მომავალ ჩემპიონებს.

# საგრძნობი ძვრების მიუხედავად

## „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პლენუმი

**გაიმართა** „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს მეორე პლენუმი.

მოხსენება „საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების რეზოლუციიდან გამომდინარე რესპუბლიკის სასოფლო ფიზკულტურის ორგანიზაციების ამოცანების შესახებ" გააკეთა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ **ვ. ჟღენტმა,** ხოლო „III საკავშირო საზაფხულო სასოფლო სპორტული თამაშებისადმი მზადების მიმდინარეობის შესახებ" პლენუმს მოახსენა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ნ. სომხიშვილმა.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს „კოლმეურნის" აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **შ. მიქელაძემ,** სპორტის ოსტატმა სათხილამურო სპორტში **ნ. ბალაშვილმა,** ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმის პარტიული კომიტეტის მდივანმა **ა. გვარამიამ,** „კოლმეურნის" აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **თ. ბოლქვაძემ,** საქწყალპროექტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინსტრუქტორ-მეთოდისტმა **ა. გურაშვილმა,** „კოლმეურნის" სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **ყ. კოჩიევმა,** „კოლმეურნის" ცენტრალურ საბჭოსთან არსებული მასობრივი ფიზკულტურისა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ფედერაციის თავმჯდომარემ, დოცენტმა **ა. დოკვაძემ,** „კოლმეურნის" ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ **ლ. ადეიშვილმა,** „კოლმეურნის" საჩხერის რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ **თ. ლაშხმა.**

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ **ი. ბოჭორიძემ.**

* * *

პლენუმზე ითქვა, რომ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებანი დიდ ამოცანებს უსახავს სასოფლო ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, მათ შორის, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" საბჭოებს, რომლებშიც რესპუბლიკის ფიზკულტურელთა თითქმის ერთი მეოთხედია გაერთიანებული — მის 1500-მდე სასოფლო ფიზკულტურულ კოლექტივში 250 ათასამდე ფიზკულტურელი და საზოგადოების წევრია.

ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით X ხუთწლედის განვლილი ორი წლის მანძილზე „კოლმეურნის" ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს სოფლად ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საქმეში.

შესრულდა სოფლად ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების 1976-1977 წლების გეგმა-ვალდებულებების ძირითადი მაჩვენებლები, რის შედეგადაც სასოფლო სპორტულ საზოგადოებათა ცენტრალურ საბჭოებს შორის გამართულ 1976 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში „კოლმეურნე" II ადგილზე გავიდა (რსფსრ-ის შემდეგ), რისთვისაც იგი სასოფლო სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო ცენტრალური საბჭოს ალმითა და საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სოფლის სპორტსმენთა წარმატება მეორე ახალგაზრდულ რესპუბლიკურ და საკავშირო თამაშებში. თუ 1973 წლის პირველ ახალგაზრდულ თამაშებში „კოლმეურნის" სპორტსმენებმა სულ 63 ქულა მოაგროვეს, მეორე ახალგაზრდულ თამაშებში, თერთმეტ სახეობაში მათ რესპუბლიკის სპორტულ ყულაბაში 188,5 ქულა შეიტანეს. საერთოდ, მეორე ახალგაზრდული თამაშების შედეგების მიხედვით „კოლმეურნე" საკავშირო სასოფლო სპორტულ საზოგადოებებს შორის III ადგილზე გავიდა რსფსრ-ისა და ბელორუსიის შემდეგ. ასეთივე მაჩვენებელი ჰქონდა მას რესპუბლიკის პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებებს შორისაც.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, „კოლმეურნის" სპორტსმენების კარგი გამოსვლა ახლახან თბილისში „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე გამართულ მშდ მრავალჭიდელთა ასპარეზობაში, აქ მათ 462 ქულა მოაგროვეს და საკავშირო სასოფლო სპორტულ საზოგადოებებს შორის კვლავ III ადგილი მოიხვეჭეს.

ამ წარმატებების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ საგრძნობლად დაიხვეწა და სტაბილური გახდა საზოგადოების სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმა, ტრადიციად იქცა დარგობრივი სპარტაკიადების ჩატარება, ჯეროვანი ყურადღება ექცევა სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებას. „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი უკვე ზედიზედ მეშვიდე წელია ერთობლივად აწყობენ სპარტაკიადებს.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ის საგრძნობი ძვრები, რასაც ამ უკანასკნელ წლებში ადგილი აქვს სასოფლო ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში და რაც საზოგადოების პროფკავშირულ დაქვემდებარებაში გადასვლით არის განპირობებული. ამასთან დაკავშირებით, საგრძნობლად გაიზარდა პროფკავშირული ორგანიზაციების ქმედითი დახმარება და კონტროლი, რის შედეგადაც განმტკიცდა საზოგადოების მატერიალური ბაზა, შეიქმნა „კოლმეურნის" ბავშვთა და მოზარდთა პირველი სპორტული სკოლები კასპსა და ბაკურიანში, მეტი ყურადღება დაეთმო სპორტულ ნაგებობათა ქსელის გაფართოებას, არსებულის კეთილმოწყობასა და შეკეთება-რეკონსტრუქციას პროფკავშირული, სამეურნეო და საზოგადოებრივი სახსრებით. შემუშავებულია და ამჟამად ხორციელდება სპორტული ბაზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პერსპექტიული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე ტიპის სპორტული დარბაზების მშენებლობას სიღნაღში, მესტიაში, ლენტეხში, გურჯაანში, მახარაძეში, კასპში, წითელწყაროში; საცურაო აუზების მშენებლობას წალენჯიხაში, მახარაძეში, ზუგდიდში და სხვ.

სოფლად ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქუთაისის, ზუგდიდის, მახარაძის, სამტრედიის, თელავის, გურჯაანის, საჩხერის, ლაგოდეხის, კასპის, ლანჩხუთის, ბორჯომის, დუშეთისა და სხვა რაიონების სასოფლო ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, ჩუმლაყის, ნატანების, რუხის, ლიხნის კოლმეურნეობების, თეძამის, ანგისას, ლაითურის, ზედა ეწერის, ძველი სენაკის, მატნის, წინანდლის, არგვეთის, თამარაშენის საბჭოთა მეურნეობების, დიდი ჯიხაიშისა და წულუკიძის რაიონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების კოლექტივებს...

პლენუმმა ამხილა ნაკლოვანებებიც, გააანალიზა მათი გამომწვევი მიზეზები. კერძოდ, ითქვა, რომ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მუშაობის შედეგებმა ნათელყვეს ის სერიოზული და მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლებიც რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების, მათ შორის, სასოფლო ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობაშიც ჯერჯერობით საკმარისზე მეტია.

პლენუმზე ითქვა, რომ სოფლად ჯერ კიდევ ბევრია ორგანიზაციულად განუმტკიცებელი ფიზკულტურული კოლექტივი. მარტო ის ფაქტი, რომ 1976 წლის სტატისტიკური მონაცემებით 23 (!) სასოფლო ფიზკულტურულ კოლექტივს საერთოდ არ მოუმზადებია მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, ხოლო 22 კოლექტივს — არც ერთი სპორტსმენ-თანრიგოსანი (?!), თავისთავად მეტყველებს ამ ორგანიზაციების ფორმალურ საქმიანობაზე. მეორე, არანაკლებ დამახასიათებელი ფაქტი: რესპუბლიკის 1400 სასოფლო ფიზკულტურული კოლექტივიდან მხოლოდ 232 (!) ორგანიზაციაშია (სულ მათში გაერთიანებულია 2829 მშრომელი ანუ, მშრომელთა მთლიანი კონტინგენტის 4,8 პროცენტი) დანერგილი საწარმოო ტანვარჯიში. აღარაფერს ვამბობთ ჯანმრთელობის ჯგუფებსა და მშდ სასწავლო ჯგუფებზე, საერთო ფიზიკური მომზადების, თევზჭერისა და ტურიზმის სექციების შესახებ, რომლებშიც მშრომელთა უფრო ნაკლები პროცენტია გაერთიანებული.

„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმა ითვალისწინებს ყოველწლიურად სპორტული ღონისძიებების ჩატარებას 34 სახეობაში, მათ შორის ეროვნულ სახეობებშიც. მაგრამ, თუ მათ ეჭაპობრივ ანალიზს გავუკეთებთ დაწყებული ფიზკულტურული კოლექტივებიდან, დამთავრებული რესპუბლიკურ ფინალურ შეჯი-

(დასასრული მე-2 გვ.).

# 125 ქულის უპირატესობით

**ჩვენი** გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი დ. ყიფიანი ყოველკვირეული გამოცემა „ფუტბოლ-ჰოკეის" ტრადიციული ყოველწლიური რეფერენდუმის შედეგად მიჩნეული იქნა 1977 წლის საუკეთესო ფეხბურთელად სსრ კავშირში.

რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საკდესის, ტას-ის, რადიოს, ტელევიზიისა და ჟურნალ-გაზეთების 157 წარმომადგენელმა. დ. ყიფიანმა მიიღო 81 პირველი ხმა, 29 — მეორე და 22 — მესამე, რამაც ჯამში შეადგინა 323 ქულა. კიევის დინამოელ ო. ბლოხინს ხვდა 34 პირველი, 39 მეორე და 18 მესამე ადგილი, რამაც სულ შეადგინა 198 ქულა. III ადგილზე გავიდა დონეცკის „შახტიორის" მეკარე ი. დეგტიარევი — 171 ქულა (24 პირველი ადგილი, 29 — მეორე, 41 — მესამე).

შემდგომი ადგილები კონკურსში დაიკავეს კიევის დინამოელმა ა. კონკოვმა, მოსკოვის დინამოელმა ა. ბუბნოვმა, კიევის დინამოელმა ვ. ბესონოვმა, მოსკოვის არმიელმა ი. ჩესნოკოვმა, კიევის დინამოელმა ლ. ბურიაკმა და სხვ.

საუკეთესო ფეხბურთელთა შორის თბილისის „დინამოდან" ეხვდებით მ. მაჩაიძის, თ. კოსტავას, შ. ხინჩაგაშვილისა და რ. ჩელებაძის გვარებს.

# თხილამურები

**კრასნოგორსკში** სპორტკლუბ „ზორკის" პრიზზე ბიატლონისტებმა გამართეს 4×7,5 კილომეტრზე ესტაფეტა. შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის 4, პროფკავშირების 2, მოსკოვის, მოსკოვის ოლქისა და სხვა ქალაქების ნაკრებები გამოვიდნენ.

ვინ იფიქრებდა, რომ ქვეყნის პირველი ნაკრები, რომელიც უძლიერესი სპორტსმენებით — ოლიმპიელებით იყო დაკომპლექტებული, საპრიზო ადგილის მიღმა დარჩებოდა. გუნდის ლიდერი ა. ტიხონოვი სარბიელზე წინა დღის ავადმყოფობის შემდეგ გამოვიდა, ოთხი საჯარიმო მიიღო, შემდეგ კიდევ დგომელა სროლაში ოთხი შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ მისმა გუნდმა IV ადგილი დაიკავა. პირველობა წილად ხვდა სსრ კავშირის მეოთხე ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. ავდეევი, ა. სუსლოვი, ა. პეტროვი და ა. რასტოპინი — 1:59.41.

# საგრძნობი ძვრები მიუხედავად

დასასრული

ბრებით, მეტად არასახარბიელო შედეგებს მივიღებთ.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ამ საკითის შესწავლამ ნათელი მოჰფინა იმ ფაქტს, რომ კოლექტივებისა და რაიონების უმრავლესობაში ეს ღონისძიება ერთჯერად ხასიათს ატარებს, ხოლო ზოგიერთ მათგანში საერთოდ არ იმართება სპორტული ღონისძიებები. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ისეთი მდგომარეობა, როცა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობებში (მათ შორის ეროვნულ სახეობებშიც), რაიონების ნაკრები გუნდების მხოლოდ 30 პროცენტი მონაწილეობს, ხოლო იმის გამო, რომ ადგილებზე სათანადო ყურადღება არ ექცევა კვალიფიციური სპორტსმენების აღზრდას, რესპუბლიკურ შეჯიბრებებში რაიონებიდან ძალზე დაბალი თანრიგის, ზოგ შემთხვევაში კი უთანრიგო, ყოვლად მოუმზადებელი სპორტსმენები ასპარეზობენ. ეს კი ეწინააღმდეგება საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებულ შეჯიბრების დებულებებს, რომლის მიხედვითაც რესპუბლიკურ პირველობებში მეორეზე დაბალი თანრიგის სპორტსმენის მონაწილეობა აკრძალულია. ნაკლები ყურადღება ექცევა, აგრეთვე, ადგილობრივ სექციებსა და ჯგუფებში ჩაბმულ ფიზკულტურელთაგან პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას, მათთან სისტემატური კვალიფიციური სასწავლო პროცესის ჩატარებას.

სწორედ ამან განაპირობა, რომ საზოგადოების რესპუბლიკური და ადგილობრივი რეკორდები თუ სხვა მიღწევები სპორტის ცალკეულ სახეობებში წლების განმავლობაში უცვლელი რჩება და, ბუნებრივია, ძალზე ჩამორჩება დღევანდელ მოთხოვნათა დონეს. ამის გამო, ჯერ კიდევ მცირეა სოფლის სპორტსმენთა წარმომადგენლობა რესპუბლიკურ და საკავშირო ნაკრებ გუნდებში.

„კოლმეურნე“ ყოველწლიურად საშუალოდ 40 ათასამდე მშდ კომპლექსის ნიშნოსანს ამზადებს, რომელთა უმრავლესობა სპორტსმენ-თანრიგოსანია. მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ ამორჩევითი შემოწმებისას ნიშნოსანთა დიდმა ნაწილმა ვერ ჩააბარა საჭირო ნორმატივები, ხოლო „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზებზე გამართულ მშდ მრავალჭიდელთა შეჯიბრებებში ოქროს ნიშნოსანთა ნაწილმა მიიღო შეფასება „ნული“ (?!). ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით საგრძნობია ცურვასა და ტყვიის სროლაში, რაც, პირველ რიგში, საცურაო აუზებისა და ტირების სიმცირით უნდა აიხსნას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ ფიზკულტურის შტატიანი მუშაკებისა და საზოგადოებრივი აქტივის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით განახორციელა სერიოზული ღონისძიებები, ამ უბანზე ჯერ კიდევ გვხვდება ხარვეზები. არ შეიძლება არ აღინიშნოს ფიზკულტურული კოლექტივის ინსტრუქტორ-მეთოდისტის შრომის ორგანიზაციაზე კონტროლის დაწესების, ინსტრუქტორ-მეთოდისტების შერჩევის, სწორად განაწილების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და აღზრდის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლის ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცებას, მშრომელთა გაჯანსაღებასა და ამის საფუძველზე, მათს შრომისნაყოფიერების ზრდას.

მიუხედავად ზემდგომი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორნიზაციების გადაწყვეტილებებისა, ყველა სასოფლო კოლექტივში დღემდე ვერ მოხერხდა ინსტრუქტორ-მეთოდისტების შტატში აყვანა. 1400-მდე კოლექტივიდან დღეისათვის მხოლოდ 454 ორგანიზაციას ჰყავს შტატიანი ინსტრუქტორ-მეთოდისტი.

არის შემთხვევები, როცა ინსტრუქტორ-მეთოდისტებს არ იყენებენ დანიშნულებისამებრ, ზოგიერთი მათგანი კი არ იმაღლებს კვალიფიკაციას. ამაზე თუნდაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 454 ინსტრუქტორ-მეთოდისტიდან მხოლოდ 166 აქვს სპეციალური განათლება.

ზემოთ ჩამოთვლილი იყო ის რაიონები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოების მუშაობაში და რომელთა ხარჯზეც სრულდება ძირითადად „კოლმეურნეს“ მიერ აღებული მთელი გეგმა-ვალდებულებები.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბრიან ისეთი რაისაბჭოები და სასოფლო ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებიც სხვის ხარჯზე გადიან ფონს, არ ზრუნავენ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გარდაქმნისთვის. აი ისინიც: ადიგენის, ასპინძის, თიანეთის, ყაზბეგის, შუახევის, ჭიათურის, ჯავის, ვანის, მარნეულის, გულრიფშისა და სხვა რაიონები და მათი ფიზკულტურული კოლექტივები.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საზოგადოების საბჭო საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად ყოველწლიურად აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებებს, რომელიც ავლენს გამარჯვებულებს საოლქო და რაიონულ საბჭოებს, აგრეთვე ფიზკულტურის საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობებისა და სასწავლო დაწესებულებების კოლექტივებს შორის. მაგრამ ამ ღონისძიებამ ფიზკულტურულ კოლექტივებსა და რაიონებში ფართო გაქანება ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა.

სამწუხაროდ, ნაკლოვანებები ახასიათებს ცენტრალური საბჭოს აპარატის მუშაობასაც. საზოგადოების ცენტრალური საბჭოს განყოფილებები, მისი აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ თავიანთ სამუშაო უბანს, არ იჩენენ ინიციატივას და მისწრაფებას ადგილობრივი ორგანიზაციებისადმი დახმარების აღმოჩენისა და კონტროლის გაწევაში, ვერ ატარებენ ცხოვრებაში საჭირო ღონისძიებებს მათზე მიმაგრებული სპორტის სახეობების შემდგომ განვითარებაზე, რის გამოც შეინიშნება სერიოზული ჩამორჩენები სასწავლო სპორტულ მუშაობაში. ამავე დროს, საზოგადოების ადგილობრივი საბჭოები სუსტად იყენებენ ჩვენი სისტემის სამინისტროებს, უწყებებსა და დარგობრივ პროფკავშირულ კომიტეტებთან მიღებულ ერთობლივ დადგენილებებს.

პლენუმზე ითქვა, რომ III საკავშირო საზაფხულო სასოფლო სპორტული თამაშები, რომელიც გაისად მოლდავეთში გაიმართება, ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა. ამავე დროს, იგი ერთ-ერთი დიდი კომპლექსური და მასობრივი ღონისძიებაა. ამიტომაც, ცხადია, მეტად დაძაბული მუშაობაა საჭირო, რათა საზოგადოების სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზონ თამაშების ფინალურ ეტაპზე და ამიტომ საჭიროა მთელი ძალების მობილიზება, და, რაც მთავარია, მუშაობის გარდაქმნა, მისი ახლებურად წარმართვა.

უკვე კარგი შედეგები მოგვცა ბავშვთა სპორტული სკოლების გახსნამ და მათმა ახალ, ერთწლიან სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადაყვანამ, საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის ორგანიზაციამ, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულმა მწვრთნელ-ინსტრუქტორთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედმა ერთთვიანმა დასწრებულმა და ათთვიანმა დაუსწრებელმა კურსებმა, აგრეთვე, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებში კონტინგენტის გაფართოებამ და სასოფლო რაიონებში დისლოკაციის საკითხის მოგვარებამ.

მაგრამ, აქვე, ბევრი ნაკლიც იჩენს თავს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ სპორტულ სექციებში ჯერ კიდევ მასობრივად არ არიან ჩაბმული ქალები. სათანადოდ არ არის დაყენებული ქალთა შორის პროპაგანდისტული და აღმზრდელობითი მუშაობა. ამის გამო, დღემდე მთლიანად არ არის დაკომპლექტებული საზოგადოების ნაკრები გუნდები მძლეოსნობასა და ტყვიის სროლაში, ველომრბოლელი ქალები კი საერთოდ არა გვყავს.

რესპუბლიკის ზოგ რაიონში (ყვარელი, მაიაკოვსკი, ადიგენი, მცხეთა, წალკა, ვანი, ხობი, თიანეთი, მარნეული, ბოლნისი, ამბროლაური, ყაზბეგი) ჯერ კიდევ მეტად დაბალია სპორტსმენთა საერთო მომზადების დონე, რამაც თავი იჩინა საქართველოსა და საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ფინალურ შეჯიბრებებში, როდესაც ზემოაღნიშნული და კიდევ რამდენიმე სხვა რაიონის სპორტსმენებმა ვერც ერთი ჩასათველელი ქულა ვერ მისცეს საზოგადოებას.

თამაშების პროგრამაში ჩვიდმეტი სახეობიდან ექვსი (მძლეოსნობა, ძალოსნობა, ცხენოსნობა, ველოსპორტი, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა) სავალდებულოა. სპორტის ამ სახეობებში კვალიფიციური სპორტსმენების მომზადების დონე კი საერთოდ მეტად დაბალია, განსაკუთრებით მცხეთის, ხაშურის, ზესტაფონის, წულუკიძის, ლაგოდეხის, ჩოხატაურის, ხობის, თიანეთისა და სხვა რაიონებში. მათ ერთი ისეთი სპორტსმენიც კი ვერ აღზარდეს, რომელიც საქართველოს ნაკრებში ჩაირიცხებოდა. უფრო მეტიც, ადიგენის, ვანის, ბოლნისის, გეგეჭკორის, ყვარლის, ამბროლაურის, ონის, თერჯოლის, წყალტუბოსა და სხვა რაიონებში უკანასკნელი ხუთი (!) წლის მანძილზე სპორტის არც ერთი (!) ოსტატი არ მომზადებულა.

უმაღლეს სასწავლებლებში თუმცა თანდათან უმჯობესდება ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, მაგრამ ყველა უმაღლესი სასწავლებლის რექტორი სათანადო ყურადღებას როდი უთმობს სტუდენტთა გამაჯანსაღებელი ბანაკების მშენებლობას, სპორტული სრულყოფის გაერთიანებულ სასწავლო ჯგუფებში სტუდენტთა და ასპირანტთა ჩაბმასა და სპორტული ბაზების ქსელის გაფართოება-კეთილმოწყობას.

სახელოვანი სპორტული ტრადიციები აქვს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, სწორედ ამიტომ არ შეიძლება არ შეგვაშფოთოს იმ ფაქტმა, რომ ქვეყნის 102 სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს შორის ოთხი წლის განმავლობაში საკავშირო სპორტული თამაშების უცვლელმა ჩემპიონმა წელს XIV ადგილზე გადაინაცვლა. ინსტიტუტს დღემდე არ გააჩნია საცურაო აუზი, ხოლო მძლეოსნური სექტორები კაპიტალურ რემონტს საჭიროებს.

დამაკმაყოფილებელი არ არის, აგრეთვე, საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონე. მათ თითქმის არა აქვთ შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამარცხვინოა, რომ რესპუბლიკის 26 საშუალო სპეციალური სასწავლებლიდან საზოგადოების ნაკრებ გუნდებში არც-ერთი წარმომადგენელი არ არის შეყვანილი.

ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის საქმეს, რაც უარყოფითად მოქმედებს საქართველოს სპორტული დელეგაციის მზადებაზე III საკავშირო სასოფლო სპორტული თამაშებისთვის. გულრიფშის, სოხუმის, ქედის, შუახევის, ჯავის, ზნაურის, ახალქალაქის, მარნეულის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის, ლენტეხის, წულუკიძის, ვანის, ხობის, წალენჯიხის რაიონების სასოფლო ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დღეისთვის არც ერთი სპორტსმენი არა ჰყავთ საზოგადოების ნაკრებ გუნდებში...

პლენუმმა კიდევ ბევრ საჭირბოროტო საკითხზე გაამახვილა ყურადღება. მოვუსმინოთ კამათში გამოსულ ამხანაგებს:

შ. მიქელაძე: ვერა და ვერ დამთავრდა საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის სპორტდარბაზის მშენებლობა, რომელიც 12 წელია მიმდინარეობს. სავალალო მდგომარეობაა, აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტექნიკუმის დარბაზში. აქ არ არის გათბობა, ვარჯიშისთვის საჭირო სხვა პირობები. ნ. ბალაშვილი: ბაკურიანში შეიქმნა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა, სადაც 300-მდე ბავშვი მეცადინეობს. სკოლის შენობა პატარაა, საჭიროა მისი გაფართოება, არც ინვენტარისა და ფორმის მხრივ არის აქ კარგად საქმე. სკოლის ხელმძღვანელობამ და მწვრთნელებმაც უნდა გარდაქმნან მუშაობა. ა. გვარამია: ჩვენს რაიონს კარგი სპორტული ტრადიციები აქვს, რომელთა ღირსეულად გაგრძელებისთვის საჭიროა სპორტული სკოლის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ახალ-ახალი ტალანტების გამოვლენას. გარდა ამისა, რა ხანია ჩვენი მეურნეობა-ტექნიკუმი წარდგენილია სპორტკლუბის სახელის მინიჭებაზე, ეს საკითხი უნდა დაჩქარდეს, რაც მეტ სტიმულს მისცემს როგორც ახალგაზრდობას, ისე მათს მწვრთნელ-პედაგოგებსაც. ა. გურაშვილი: ჩვენს 1200-კაციან კოლექტივს საკუთარი ბაზა არ გააჩნია, არა გვაქვს საჭირო მეთოდური ლიტერატურა. ინსტიტუტში სულ 40 განყოფილებაა, საწარმოო ტანვარჯიში ყველა მათგანშია დანერგილი, მაგრამ იგი სასურველ დონეზე მაინც ვერ დგას. ყ. კოჩიევი: ჩვენთან, ადგილებზე არავითარი ყურადღება არ ექცევა მარტივი ტიპის ბაზების მოწყობა-მშენებლობის საქმესაც კი, მარტივი ტიპის ფეხბურთის მოედნები მხოლოდ ჯავაში, ზნაურსა და ლენინგორში გვაქვს. საოლქო ცენტრში კი საზოგადოებას ერთი დარბაზიც არა აქვს. თ. ბოლქვაძე: დიდი ხნის (10 წლის) უმოქმედობის შემდეგ წელს გეგმაში შეიტანეს ქობულეთის სტადიონის რეკონსტრუქცია, მომავლისთვის გათვალისწინებულია, აგრეთვე, ხელვაჩაურის სპორტული კომპლექსის მშენებლობა. ლ. ადეიშვილი: დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა გ. გადელიამ, რომელმაც კოლხიდმშენის № 5 საამშენებლო სამმართველოს დაავალა წილობრივი მონაწილეობა მიიღოს ბაზების (სანიჩბოსნო, საცხენოსნო, აუზის) მშენებლობაში. თ. ლაშხი: ჩვენი რაიონის სამმა ძალოსანმა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში II ახალგაზრდულ თამაშებზე ჩასათვლელი ქულები მისცა გუნდს. ჩვენთან კვლავაც იზრდებიან ნიჭიერი ძალოსნები, მაგრამ მათი სრულყოფილი წვრთნისა და დაოსტატებისთვის პირობები არა გვაქვს. ეს სავარჯიშო ბაზასაც შეეხება და ინვენტარსაც. ა. დოკვაძემ ძირითადად ყურადღება გაამახვილა საწარმოო ტანვარჯიშის აუცილებლობასა და მის მნიშვნელობაზე, მოიყვანა კონკრეტული მაგალითები, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მას სოფლის მშრომელებისთვის.

ი. ბოჭორიძემ შეაჯამა პლენუმის მუშაობა და აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში გარკვეული ძვრები იგრძნობა სასოფლო ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში, მაგრამ, ისიც აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს, საჭიროა მკვეთრი, გადამჭრელი ზომების მიღება, რათა დროულად აღმოიფხვრას არსებული ხარვეზები და საზოგადოება მომზადებული შეხვდეს 1978-1980 წლების უმნიშვნელოვანეს სპორტულ ფორუმებს.

პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

## ჩიხში — [illegible]?

ზუგდიდის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა 1937 წელს და[...]რსდა და წლების მანძილზე ქალაქ[...]ის I საშუალო სკოლის შენობა[...] იმყოფებოდა, სადაც ხის პატარ[...] დარბაზი ჰქონდა გამოყოფილ[...]. 1961 წელს სპორტსკოლას ზუგდი[...]დის ყოფილი კინოთეატრის ორსა[...]რთულიანი შენობა გადასცეს. აქ[...] მოთავსდა რაიონული სპორტკომი[...]ტეტი, „კოლმეურნისა“ და „განთი[...]ადის“ რაისაბჭოები.

ამჟამად ეს შენობა მეტად საგა[...]ლალო მდგომარეობაშია. ქვედა სა[...]რთული ნაგვის ყუთებითაა ავსებუ[...]ლი, სპორტული დარბაზის იატაკ[...] დამპალია, ჭერის ბათქაში — და[...]ზიანებული. ძველი ლეიბები, მინე[...]ბჩალეწილი ფანჯრები უბადრუკად გამოიყურებიან. სპორტსკოლის აღ[...]საზრდელები არც წყლით არია[...]ნ განებივრებული.

1976 წლის 4 თებერვალს საქარ[...]თველოს სპორტკომიტეტის ტანვა[...]რჯიშის მთავარი მწვრთნელის [...]ოგანოვის, „განთიადის“ ცენტრალ[...]ური საბჭოს სპორტსკოლის დირე[...]ქტორის ს. ბურჯანაძისა და ზუგდი[...]დის სპორტული დისპანსერის ექი[...]მის მ. შონიას მონაწილეობით შე[...]დგა აქტი, სადაც ხაზგასმითაა აღ[...]ნიშნული, რომ „შენობას აწვიმს[...] მოსალოდნელია კედლებისა და ჭე[...]რის ჩამონგრევა, ფანჯრები და კა[...]რები დამპალია, შენობა მთლიანა[...]დ ავარიულ მდგომარეობაშია“...

წელს, როგორც იქნა, ზუგდიდი[...] [illegible]

ჩვენი აზრით კი, შენობა მთლიანად დასანგრევი და ხელახლა ასაშენებელია.

თ. ქიქავა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ზუგდიდი.

## [illegible]

### ✦ კასპი

აქ დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა პირადი პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. 16 მოსწავლე ვაჟი იბრძოდა უძლიერესის სახელისთვის. კარგად იასპარეზა მ. მერებაშვილმა, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა. გოგონებში (15 მონაწილე) ლ. ჩადუნელმა იმარჯვა.

ლ. ელისაბედაშვილი.

### ✦ სამტრედია

დამთავრდა კულაშის სადაბო პირველობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ დაბის ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებების, ტექნიკუმისა და სკოლის გუნდები.

გამარჯვება წილად ხვდათ საქსოვი ფაბრიკის წარმომადგენლებს, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ზოოვეტერინარული ტექნიკუმისა და ყრუ-მუნჯთა სასწავლებლის გუნდები.

ი. ნიკოლეიშვილი.



ახალი წლის დამდეგს თოვლის ბაბუა ფრუნზეს ტროლეიბუსების სამმართველოს ესტუმრა და დელტაპლანით გაფრინდა.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — ელექტროკავშირგაბმულობის მონტიორი, დელტაპლანერისტი ვ. პოტილიცინი გაფრენის წინ არიგებს თოვლის ბაბუას; მარჯვნივ — თოვლის ბაბუა გაფრენისას.

საკდესის ფოტო.



## ჩვენი სპორტული ნაგებობანი

# კეთილი, მაგრამ შესამჩნევი ნაბიჯი



**სპორტული** ნაგებობა დღეს... როგორი უნდა იყოს ის, რა მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს? ეს ერთ-ერთი აქტუალური თემაა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში. როცა საუბარი ღია და დახურული ნაგებობების რაოდენობაზე ჩამოვარდება, ჩვეულებრივ, წუწუნს ვიწყებთ, რომ ამ მხრივ აშკარა ნაკლებობას განვიცდით — განსაკუთრებით პერიფერიებში. საქმე ხარისხზე რომ მიდგება, გაძოდის, ბევრ საცურაო აუზში, კალათბურთის მოედნებსა და ტანვარჯიშულ დარბაზებში სახარბიელო მდგომარეობა არ გვაქვს.

როგორ გამოიყურებიან ისინი, როგორ არიან აღჭურვილი, მოვლილი, გათვალისწინებულია თუ არა მაყურებლის ინტერესები? — ყველაფერი ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

**გასული** წლის მეორე ნახევრიდან თბილისის სპორტის სასახლემ თანდათან იცვალა სახე. უპირველესად ეს ითქმის ინტერიერზე, ფოიეზე, რომელიც დეკორატიულად გაფორმდა, დავდგით ყვავილები, არცთუ მთლად ახალი ხაჭაპურებითა და ბუტერბროდებით მოვაჭრე ბუფეტების ნაცვლად მოეწყო დასვენების კუთხეები ფერადი განათებით. მყუდროებას ქმნიან, აგრეთვე, ხით მოპირკეთებული კედლები, სარბიელის ირგვლივ ქვედა სექტორების კიბეებზე დაფენილია ხალიჩები. — მაყურებლებთან, ყველასთან, ვისაც ემსახურება სპორტის სასახლე, მინდა ვისაუბრო პირველ რიგში, ესთეტიკის ენით, — გვითხრა რესპუბლიკაში ერთ-ერთი უდიდესი სპორტული ნაგებობის დირექტორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **გიორგი შიოშვილმა**. ეს საუბარი წლის მიწურულს შედგა და, ბუნებრივია, გვსურდა მომავლის გეგმების შეტყობაც.

**— 1977 წელს სპორტის სასახლემ სპორტსმენებისთვის და მაყურებელთათვის უკეთესი პირობების შექმნის თვალსაზრისით წინ გადადგა ნაბიჯი. რას აპირებთ ამ მიმართულებით ახალ წელს?**

— ნაბიჯი გადადგმულია, მაგრამ ჯერ მხოლოდ პირველი, — თქვა გ. შიოშვილმა. აუცილებელი იყო შეგვექმნა სიმყუდროვისა და ესთეტიკური აღქმის ატმოსფერო. მაგრამ ხანდახან ტრიბუნებზე ვხვდებოდით თამბაქოს მწეველს, ზოგიერთი მაყურებელი არაკორექტულად იქცეოდა. კედლები ჭუჭყიანდებოდა, ფოიეში იატაკი სიგარეტის ნამწვავებით იყო მოფენილი, ზიანდებოდა ხკამები. ხალხი თვალყურს ადევნებდა სპორტულ სანახაობას და ავიწყდებოდა, რომ დახურულ შენობაში იმყოფებოდა და არა მინდორში. სხვათა შორის სისუფთავის დაცვა, შენს ირგვლივ მყოფი საგნებისადმი ფრთხილი მოპყრობა თეატრში, სტადიონზე თუ სპორტის სასახლეში ერთნაირადაა საჭირო.

ფოიე ყვავილებით მოვრთეთ, კედლებზე ხის პანელები ავაკარით და იცით... დამლაგებლები მოდიან და მეუბნებიან: „წარმოიდგინეთ, რაც ყვავილები გამოჩნდა, პაპიროსის ნამწვავებმაც იკლო“. შევამცირეთ ურნების რაოდენობაც, რომლებიც ინტერიერს არც მაინც და მაინც ამშვენებენ...

გვსურს, სპორტის პროპაგანდასთან ერთად ოდნავ შესამჩნევი ზემოქმედებით შევძლოთ მაყურებელთა იმ ნაწილის აღზრდა (უპირველესად ახალგაზრდობის), რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საჭიროებს ამას...

ეს ხიტყვები სავსებით სამართლიანია. გვახსენდება ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მატჩზე მეხუთე სექტორის მეექვსე რიგში მჯდომი ახალგაზრდა, რომელიც სიგარეტს ეწეოდა და თან შეშინებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა... მოედანზე სპორტსმენები დიდ ენერგიას ხარჯავდნენ (თამაში თამაშია!), ის კი ბოლით ავსებდა იქაურობას. მას გვერდით მსხდომებმა მიუთითეს, ახალგაზრდამ სამი რიგით ზემოთ გადაინაცვლა და 10 წუთის შემდეგ ახალი სიგარეტი ამოიღო...

— სპორტის სასახლე, — აგრძელებს ჩვენი თანამოსაუბრე, ლამაზად უნდა გამოიყურებოდეს: თავად სპორტი ეს ხომ სილამაზეა, და მერე როგორი! ადამიანი კი, რომელსაც სპორტი უყვარს, თვითონ უნდა იყოს შინაგანად ლამაზი. ამასთან, სპორტული სანახაობების გარდა, სასახლეში ხშირად ეწყობა კონცერტები, კინოფილმების ჩვენება, საახალწლო ნაძვისხის წარმოდგენები...

გეგმის მიხედვით დაწყებული სამუშაო 1978 წელსაც გაგრძელდება. განზრახული გვაქვს ეფექტურად გამოვიყენოთ ზემო ვესტიბიულის 4000 კვადრატული მეტრი ფართობი (დირექტორმა გვაჩვენა ფერადი ესკიზი, რომელზედაც გამოსახული იყო სასახლის მხატვრულად გაფორმებული ვიტრაჟებიანი, სახელოვან სპორტსმენთა ფოტოსურათებით დამშვენებული დერეფანი). ამას გარდა, ქართული სპორტის ისტორიის მუზეუმისთვის სპეციალურად გამოვყოფთ ორ ოთახს. აქ თავს მოიყრის ბევრი უნიკალური დოკუმენტი, ფოტოილუსტრაცია და სპორტის ისტორიისთვის სხვა საინტერესო, რესპუბლიკის სპორტსმენთა წარმატებების ამსახველი რელიქვიები. ქვედა სექტორის კიბეებზე დაგებული ხალიჩები მხოლოდ სილამაზისთვის როდია განკუთვნილი. ისინი ფეხის ხმას ახშობენ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ისედაც ხმაურიან შენობაში. განზრახული გვაქვს ხალიჩები ზედა სექტორების კიბეებზეც დავაგოთ. ამას გარდა, აუცილებლად უნდა მივაღწიოთ სარბიელის ისეთ განათებას, რომელიც მსოფლიო სტანდართებს უპასუხებს, თორემ ტელევიზია შემდგომშიც წააწყდება პრობლემებს — არსებული განათებით ტრანსლიაცია ფერადი გამოსახულებით არ ხერხდება. გვაქვს სხვა ჩანაფიქრიც...

**— რა ღონისძიებებია დაგეგმილი სპორტის სასახლეში 1978 წლისთვის?**

— ნაძვის ხის წარმოდგენებს შეცვლის კონცერტები. იანვარში დაიწყება საქალაქო საბავშვო ტურნირი მინი-ფეხბურთში სპორტის სასახლის პრიზზე, შემდეგ სარბიელი დაეთმობა მოკრივეთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს. კვლავ გაიმართება კალათბურთის მატჩები თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით. მარტში ძიუდოისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი იასპარეზებენ. მოსალოდნელია, აგრეთვე, ბევრი გასართობი სპორტული სანახაობა. წლის განმავლობაში საშუალოდ 125 ღონისძიება ტარდება, რომლებსაც მილიონამდე მაყურებელი ესწრება. მაგრამ ამით როდი თავდება ყველაფერი. გეგმაში გვაქვს დავასრულოთ ის, რისი გაკეთებაც ბოლომდის ვერ მოვახერხეთ 1977 წელს. მაგალითად, ყოველ სპორტულ ღონისძიებაზე სასახლის „A“ სექტორში კვლავ უნდა გამოიყოს 218 უფასო ბილეთი თბილისის მუშა და სტუდენტი ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენელთა წასახალისებლად. ეს კარგი ჩანაფიქრი ჯერ ვერ განვახორციელეთ: ბილეთები გამოყოფილია, მაგრამ მთლიანად ჯერჯერობით არ ვრცელდება. და კიდევ: სპორტის სასახლესთან შექმნილია გამაჯანსაღებელი ჯგუფი, ჯერჯერობით მსურველი მხოლოდ ოთხი ადამიანი აღმოჩნდა. მდგომარეობის გაუმჯობესების იმედს, რა თქმა უნდა არ ვკარგავთ...

**— რა სურვილები აქვთ სპორტის სასახლის თანამშრომლებს ახალ წელთან დაკავშირებით?**

— ვფიქრობ, გამოვთქვამ ჩვენი თანამშრომლების საერთო აზრს თუ ვიტყვი, რომ ჩვენ, როგორც რესპუბლიკის ყველა სპორტის მოყვარული, კანონიერად ვამაყობთ ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო თბილისის სპორტის სასახლით. მოხარული ვიქნებით, თუ ვიხილავთ მის მიმართ სათუთ მოპყრობას მაყურებელთა მხრიდან. ამასთან ვისურვებდით გავხდეთ ჩვენი სპორტსმენების ლამაზი გამარჯვებების მოწმენი, დავტკბეთ სამამულო სპორტის ტრიუმფით.

ნ. ბროლაძე.

**რედაქციისგან:** გიორგი შიოშვილთან საუბარში ავტორი შეეხო ისეთ სერიოზულ თემას, როგორიცაა სპორტის სასახლის ზემო და ქვემო ვესტიბიულებში თამბაქოს წევა. ათასობით მაყურებელი მატჩამდე და შესვენებების დროს დერეფნებში ქმნიან კვამლის სქელ ფენას, რომელიც სარბიელამდეც აღწევს. სუნთქვა ძნელდება. და ეს ხდება სპორტის სასახლეში! იქ, სადაც ყველაფერი იმის საწინააღმდეგოდაა მიმართული, რაც ადამიანის ჯანმრთელობას ვნებს, სადაც ყველაფერი მთელი ხმით მოუწოდებს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ სრულყოფაზე.

შეიძლება თუ არა პაპიროსის მოწევა კალათბურთისა და ხელბურთის მატჩების, მოჭიდავეთა ორთაბრძოლების, ტანმოვარჯიშეთა და სხვა სპორტის სახეობის წარმომადგენელთა ასპარეზობის დროს? ჰკითხეთ, მაგალითად, მიხეილ ქორქიას ან შოთა მორჩილაძეს, უჭირთ თუ არა სუნთქვა ბოლით სავსე დარბაზში?

მაშ მოდით, თავი შევიკავოთ, ყველამ ერთად და ერთბაშად. მოდით ხელს ნუ შევუშლით სპორტსმენებს, რომლებიც ესოდენ გვიყვარს.

# გვესაუბრებიან

## მწვრთნელები, სპორტსმენები...

**ლეონიდ არკაევი — სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ვაჟთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი:**

— დიდ ტანვარჯიშულ ფორუმებზე იაპონიის წარმომადგენელთა 14-წლიანი ჰეგემონიის შემდეგ 1977 წელი გარდატეხის წელი გამოდგა. დაწინაურდნენ საბჭოთა სპორტსმენები. მსოფლიო თასზე ასპარეზობაში „ოქროს დუბლი“ გააკეთეს. გაიმარჯვეს ოლიმპიადა-76-ის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ნ. ანდრიანოვმა და ვ. მარკელოვმა. კონტინენტის ჩემპიონატიც ასევე საბჭოთა ტანმოვარჯიშეების უპირატესობით ჩატარდა. მრავალჭიდში მათ საპატიო კვარცხლბეკის ყველა საფეხური დაიკავეს. სულ მთავარ ტურნირებში საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა 14 ოქროს, 8 ვერცხლის და 10 ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

მაგრამ ეს წარმატებები მხოლოდ პირველი ნაბიჯებია საბჭოთა ვაჟთა ტანვარჯიშის წარსული დიდების დაბრუნების გზაზე. წლეულს ხომ გუნდური შეჯიბრება არ ჩატარებულა, ის 1978 წელს სტრასბურგის მსოფლიო ჩემპიონატში გაიმართება.

ჩვენ მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ, მაგრამ მიზნის მისაღწევად დაძაბული შრომაა საჭირო. ოლიმპიადა-80 ხომ მოსკოვში ჩატარდება და ძალიან მინდა „ოქროს“ მოლოცვები მივიღოთ (საკდესი.)



სურათზე: ნ. ანდრიანოვი.

**ვიაჩესლავ ზაიცევი — სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდის კაპიტანი:**

— ვფიქრობ, სპორტის მოყვარულები კმაყოფილი იქნებიან ჩვენი გამოსვლებით ოლიმპიადისშემდგომ წელს. ჩვენ გავიმარჯვეთ ევროპის ჩემპიონატში და ძნელ ბრძოლაში მოვიპოვეთ მსოფლიო თასი. რაც მთავარია, „ვისწავლეთ“ გამარჯვება მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონებზე პოლონელ ფრენბურთელებზე, რომელთაგანაც ბევრჯერ ვიწვნიეთ მარცხის სიმწარე ბოლო წლების მთავარ მატჩებში. მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ტურნირში კი გუნდმა კარგად ითამაშა, განსაკუთრებით ოლიმპიურ ჩემპიონებთან მატჩში.

მაგრამ ძნელი წელიწადი მოგველის. სექტემბერში იტალიაში გაიმართება 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც ჩვენ ოქროს მედლებზე უნდა ვიფიქროთ. რა თქმა უნდა, ჩვენი მეტოქეებიც, პირველ რიგში პოლონელი ფრენბურთელები, ასევე „ოქროს“ უმიზნებენ; ამიტომ ტურნირი დაძაბული იქნება და მას თავით ფეხებამდე შეიარაღებული რომ შევხვდეთ, აუცილებელია რიგიანად ვიშრომოთ.



სურათზე: თამაშობს სსრ კავშირის ნაკრები.

**იგორ კუდიუკოვი — სსრ კავშირის ძალოსანთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი:**

— საფუძველი გვაქვს კმაყოფილი ვიყოთ ოლიმპიადა-80-ისკენ მიმავალი გზით. საბჭოთა ძალოსნებმა შტუტჰარტის მსოფლიო ჩემპიონატიდან 7 ოქროს და 3 ვერცხლის მედლები ჩამოიტანეს. მათ შეიძლება მივუმატოთ იუნიორთა მიერ სოფიის მსოფლიო პირველობაზე მოპოვებული 6 უმაღლესი ჯილდო. წლის განმავლობაში საბჭოთა გოლიათებმა 34-ჯერ გააუმჯობესეს მსოფლიო რეკორდები. მსოფლიო მიღწევათა ცხრილში მე-80 შესწორება შეიტანა პლანეტის უძლიერესმა ძალოსანმა ვ. ალექსეევმა. თავი გამოიჩინა ვეტერანმა დ. რიგერტმაც. გაგვახარა ბევრმა ახალგაზრდა სპორტსმენმაც.

მაგრამ ყველაფერი ეს გულდამშვიდების ნებას არ გვაძლევს, რამდენადაც ძალოსნობა მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება. ჩვენ ჯერ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რათა უძლიერესთა სპორტმა, რომლის გეოგრაფია ჩვენში დღითი-დღე ფართოვდება, ათასობით ახალგაზრდა სპორტსმენი მიიზიდოს, რომ არ ამოიწუროს ტალანტების „წყარო“ ნაკრებისათვის, რომელმაც კურსი აიღო ოლიმპიადა-80-ში წარმატებით გამოსასვლელად.



სურათზე: დ. რიგერტი.

# ლაურეატები

**ოტავა.** „კანადიენ პრესის“ მიერ ქვეყნის სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად ჰოკეის ეროვნული ლიგის გუნდი **„მონრეალ კანადიენსი“** დასახელებულია კანადის 1977 წლის საუკეთესო გუნდად.

1976-77 წლის სეზონში გუნდმა 80 შეხვედრიდან მხოლოდ 8 წააგო. სტენლის თასზე ფინალურ ორთაბრძოლებში „მონრეალ კანადიენსი“ დამარცხდა მხოლოდ ორ მატჩში, ზედიზედ მეორედ მოიპოვა ჰოკეის ეროვნული ლიგის უმაღლესი ჯილდო. 60 მოგება, 12 ფრე და 8 წაგება — ეს არის ჰოკეის ეროვნული ლიგის რეკორდი.

**უნგრეთის** სპორტულმა ჟურნალისტებმა დაასახელეს ქვეყნის 1977 წლის საუკეთესო სპორტსმენები. ვაჟთა შორის ლაურეატების სამეული, ასე გამოიყურება: 1. **ა. გერევიჩი** (ფარიკაობა), 2. **ლ. რეჩი** (ჭიდაობა), 3. **ზ. ვერასტო** (ცურვა); ქალები — 1. **მ. ამბრუში** (აკადემიური ნიჩბოსნობა), 2. **ი. ტორდაში** (ფარიკაობა), 3. **მ. ეგერვარი** (ტანვარჯიში). საუკეთესო გუნდებად აღიარებულია **წყალბურთელთა, ფეხბურთელთა** და **ფრენბურთელთა** (ქალები) ნაკრები კოლექტივები.

**სპეციალური** ჟიურის გადაწყვეტილებით ბელგიის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს მოტოკროსში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **გასტონ რაიე**.

**გფრ-ის** სპორტულმა ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო სპორტსმენად მიიჩნიეს მძლეოსნურ ხუთჭიდში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი **ევა ვილმსი**. ვაჟთა შორის კი — საუკეთესო პროფესიონალი ველომრბოლელი **დიტრიხ ტურაუ**.

**ამერიკული** ჟურნალის „ტრეკ ენდ ფილდ ნიუსის“ მიერ უცხოელ მძლეოსნობის სპეციალისტთა გამოკითხვამ პირველობა მოუტანა გდრ-ის სპორტსმენს — სიმაღლეზე მხტომელ **როზემარი აკერმანს**. ექსპერტი ხაზგასმით აღნიშნავს მის მიერ 2 მეტრის ზღვარის გადალახვის მნიშვნელობას, აგრეთვე, იმას, რომ აკერმანი წლეულს არც ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში არ დამარცხებულა. უძლიერესთა სიაში II ადგილზეა **ირენა შევინსკა** (პოლონეთი).

**პოლონეთის** გაზეთ „სპორტის“ (კატოვიცე) სხვადასხვა ქვეყნის 50 ათასმა მკითხველმა პოლონეთის 1977 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა მელეცის „სტალის“ მოთამაშე **გ. ლატო**. საუკეთესოთა სამეულში არიან **ვ. ჟმუდა** („შლენსკი“, ვროცლავი) და **კ. დეინა** („ლეგია“, ვარშავა).

## აჯამებენ სპორტული წლის შედეგებს

# 32 გუნდს შორის

**პოლონურ** საფეხბურთო ყოველკვირეულ „პილკა ნოჟნაში“ დაიბეჭდა ევროპის ქვეყნების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების საკლასიფიკაციო სია 1977 წლის შეჯიბრებების შედეგების მიხედვით. სიაში, რომელიც შეადგინა ფეხბურთის უდიდესმა მცოდნემ მაჩისლავ შიმკოვიაკმა, 32 გუნდია. ადგილები განაწილდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების, ჩემპიონატის ფინალში გასვლის, აგრეთვე, საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების შედეგების მიხედვით.

ამ სიაში I ადგილზეა **გფრ-ის** ნაკრები. მომდევნო ადგილებზე არიან: **2. ჰოლანდია, 3. საფრანგეთი, 4. იტალია, 5. შოტლანდია, 6. უნგრეთი, 7. ავსტრია, 8. გდრ, 9. ესპანეთი, 10. სსრ კავშირი, 11. ინგლისი, 12. პორტუგალია, 13. პოლონეთი, 14. შვეცია, 15. რუმინეთი, 16. უელსი, 17. ჩეხოსლოვაკია, 18. ირლანდია, 19. ბელგია, 20. იუგოსლავია, 21. შვეიცარია, 22. ბულგარეთი, 23. დანია, 24. ჩრ. ირლანდია, 25. საბერძნეთი, 26. ნორვეგია, 27. ფინეთი, 28. თურქეთი, 29. ისლანდია, 30. ლუქსემბურგი, 31. კიპროსი, 32. მალტა.**

ჟურნალში აღნიშნულია, რომ 1977 წელს ყველაზე მეტჯერ იასპარეზეს უნგრეთის (16 მატჩი), პოლონეთისა (13) და იუგოსლავიის (12) ნაკრებებმა. ყველაზე მეტი შეხვედრა მოიგეს უნგრეთის (9) და გდრ-ის (7) გუნდებმა. გდრ-ის, პოლონეთისა და შოტლანდიის ფეხბურთელებს 6-6 მოგება აქვთ. არც ერთი მატჩი არ მოუგიათ კვიპროსის, ლუქსემბურგისა და მალტის გუნდებს. ყველაზე მეტჯერ დამარცხდნენ იუგოსლავიის (7), ლუქსემბურგის, შვეციისა და თურქეთის (6-6) ფეხბურთელები, თითოჯერ — საფრანგეთის, ესპანეთის, გდრ-ისა და გფრ-ის ნაკრები გუნდები. (საკდესი).



# როგორ იქნება პრაღაში?

**წლევანდელი** სპორტული სეზონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი ჰოკეიში, რომელიც აპრილ-მაისში პრაღაში გაიმართება. რა აზრისა ხართ პრაღის ტურნირზე? ამ კითხვით მიმართეს საკდესის კორესპონდენტებმა გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე მოასპარეზე უცხოური გუნდების წარმომადგენლებს.

— ვენის ჩემპიონატში კანადელთა ერთ-ერთი და მთავარი შეცდომა იყო ის, რომ ნაკრებისთვის მოთამაშეები შეარჩიეს ჰოკეის ეროვნული ლიგის იმ გუნდებიდან, რომლებმაც სტენლის თასის გათამაშებაში მარცხი იწვნიეს, — თქვა მსოფლიო ჰოკეის ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლარი გორდინმა. — ახლა გადაწყვეტილია გუნდი ჩვენი ორი ორგანიზაციის ბაზაზე შეიქმნას. თავისი შემადგენლობით ეს ნაკრები, უეჭველად უფრო ძლიერი იქნება. ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონი ერთ მატჩს მაინც წააგებს, ვინაიდან ასეთი დაძაბული პაექრობის ერთნაირად მაღალ დონეზე ჩატარება შეუძლებელია. ხოლო ვინ გაიმარჯვებს, ამის წინასწარმეტყველება ძნელია. სსრ კავშირის ძლიერ გუნდს ახლა ექსტრა-კლასის „ვარსკვლავები“ არა ჰყავს. და თუმცა თქვენი მწვრთნელები კოლექტიური თამაშის კონცეპციებს იცავენ, გუნდს „ვარსკვლავები“ მაინც სჭირდება.

— შვეციის გუნდი პრაღის მსოფლიო ჩემპიონატში გაძლიერებული შემადგენლობით გამოვა, იმდენად, რამდენადაც იმედი მაქვს იმ ჰოკეისტებისა, რომლებიც ახლა ოკეანისგაღმა პროფესიულ კლუბებში ასპარეზობენ, — განაცხადა შვეციის ნაკრების მწვრთნელმა ჰანს ლინდბერგმა. — რაც შეეხება სათამაშო კონცეპციებს, გეგმებს ვადგენ ჩემს განკარგულებაში მყოფი ჰოკეისტების შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ხანდახან შეგვიძლია შევიმუშავოთ ისეთი ვარიანტი, რომ ზოგიერთ კომპონენტზე მეტოქის უპირატესობა მინიმუმამდე დავიყვანოთ, — მხედველობაში მაქვს სისწრაფე და ძალისმიერი ორთაბრძოლა. გაიხსენეთ ვენაში ჩვენი და საბჭოთა ჰოკეისტების მატჩები. რამდენიმე წლის წინათ ჩვენ გვეშინოდა კანადელებისა. ახლა კი მზად ვართ მათთან ნებისმიერი ბრძოლა გავმართოთ. ასე იყო მოსკოვში, „კვებეკ ნორდიქსთან“ მატჩში, ჩვენს ნაკრებში ხომ ბევრი ახალბედა თამაშობდა.

თავს უფლებას ვერ მივცემ ვიწინასწარმეტყველო, ვინ გაიმარჯვებს, მაგრამ ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ ნებისმიერ საფეხურზე. ალბათ ყველა მწვრთნელი მოთამაშეებს თავისი გემოვნებით, თამაშის თავისი გეგმით ირჩევს და ხანდახან შეიძლება გუნდში არ შეიყვანოს ძლიერი ჰოკეისტიც და ათამაშოს ის, რომელიც უფრო ზუსტად შეასრულებს მის ჩანაფიქრს.

ჩეხოსლოვაკიის გუნდი ახლა უფრო ზუსტად თამაშობს, ვიდრე წინა სეზონში, მაგრამ მისი მოთამაშეები შეიძლება შეცდნენ და მაშინ მათი მართვა ძნელია. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია დააღწია თუ არა ამ ნაკლს თავი ახლანდელმა ნაკრებმა.

— ჰოკეის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია და ამიტომ ბიზნესს „ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსის“ მწვრთნელის ასისტენტის ადგილი გამჯობინე, — აღიარა საქვეყნოდ ცნობილმა კანადელმა ჰოკეისტმა ბობი ორმა, რომელიც მოსკოვის ტურნირზე საპატიო სტუმრად ჩამოვიდა. კარგა ხანია ვიცნობ საბჭოთა ნაკრებს და, ჩემის აზრით, უკანასკნელ წლებში გუნდი ერთ ადგილზე გაიყინა. თუმცა გამოჩნდნენ ახალი მოთამაშეები, ახალი სახელები, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანან მწვრთნელთა შემოქმედებითი აღმოჩენები, არ ჩანს ჩვენთვის მოულოდნელი ტაქტიკური სიახლეები, როგორც ეს წინათ ხდებოდა ხოლმე. მართალია, აღმოჩენებს ყოველდღიური ხასიათი არა აქვს, მაგრამ სიახლეთა ძიება ყოველ მატჩშია საჭირო.

— ძნელი ასახსნელია, რატომ წააგო საბჭოთა ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიის გუნდთან დიდი ანგარიშით. შესაძლოა ნებისმიერ გუნდს არ გამოუვიდეს თამაში, მაგრამ ძლიერი ნაკრები თავის უარეს მატჩშიც კი არ უნდა „დაინგრეს“.

ამ ბოლო დროს აშშ-ში სულ უფრო და უფრო ვითარდება სამოყვარულო ჰოკეი და ამიტომ უახლოეს ხანში მოსალოდნელია, ამ ქვეყნის ნაკრები უძლიერესთა დავაში ჩაებას. შესაძლოა მათ სიურპრიზებიც კი მოგვიმზადონ პრაღაში.

— ჩვენ შევეცდებით ვიყოთ სტუმართმოყვარე მასპინძლები და საერთოდ ყველაფერი გავაკეთოთ მაღალ დონეზე, — თქვა ჩეხოსლოვაკიის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტმა ზდენეკ ანდრშტმა. — თანაც ვეცდებით კვლავ გავიმარჯვოთ. „საკუთარი კედლების“ დიდი იმედი გვაქვს. ძლიერი მეტოქეები იქნებიან საბჭოთა, შვეციისა და კანადის ჰოკეისტები. არა მგონია, რომ შვედებმა ამჯერად შეძლონ ორჯერ დაამარცხონ საბჭოთა ნაკრები. ვფიქრობ, საბჭოთა მწვრთნელები იპოვიან გამოსავალს მათი დაცვის „ბეტონის“ გასანგრევად. საერთოდ ტურნირის შედეგის გამოცნობა ძნელია. გამარჯვება ყველას უნდა.

ვ. კუკუშკინი.
(საკდესის კორ.).

* * *

სურათზე: თამაშობს ბობი ორი.

## ა. ა. ბალაევიჩი



საქართველოს სპორტულმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — ჩვენს რიგებს გამოაკლდა სამთო-სათხილამურო სპორტის ენთუზიასტი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სკკპ წევრი 1944 წლიდან, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი, ალექსანდრე ალექსის ძე ბალაევიჩი.

ა. ბალაევიჩის სპორტულ ბიოგრაფიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენს რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის თეორიისა და პრაქტიკის განვითარება. ბორჯომის სატყეო ტექნიკუმის დამთავრების (1934 წ.) შემდეგ, სპორტის ენთუზიასტი ამ რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნეს. 3 წლის შემდეგ ბალაევიჩი სწავლას აგრძელებს საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში, რომელიც 1941 წელს დაამთავრა. იმავე წელს ინსტიტუტის სათხილამურო სპორტის კათედრის გამგედ აირჩიეს და ამ საქმეს იგი 1971 წლამდე ემსახურებოდა. უკანასკნელ ხანს მუშაობდა ამავე კათედრის დოცენტად.

ა. ბალაევიჩმა ბევრი გააკეთა ბაკურიანში სამთო-სათხილამურო სპორტის დამკვიდრებისთვის. ამ საკითხებისადმი იყო მიძღვნილი მისი საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც 1955 წელს წარმატებით დაიცვა ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტში. სამთო-სათხილამურო სპორტის საკითხების თეორიულ დასაბუთებას მიეძღვნა მისი 32 სამეცნიერო ნაშრომი, მრავალი მეთოდური შრომა, რომელთა შორის აღსანიშნავია სახელმძღვანელო „სათხილამურო სპორტი“.

ა. ბალაევიჩი 1971-1976 წლებში ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა ჯგუფს, რომელიც სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების თეორიულ საკითხებს იკვლევდა.

შრომატევადი და რთული სამუშაოს მიუხედავად, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკისა და ინსტიტუტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ა. ბალაევიჩის კეთილი წამოღვაწარი მარად ემახსოვრება ყველას, ვისაც კი საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ამ შესანიშნავ ადამიანთან.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, სათხილამურო სპორტის ფედერაცია, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.**

## გაგრძელდება თუ არა მატჩი?

ბელგრადი, 2 იანვარი. (საკდესი). მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობაზე პრეტენდენტთა ფინალური მატჩის ერთ-ერთმა მონაწილემ ვ. კორჩნოიმ განაცხადა, რომ ტოვებს ბელგრადს და წყვეტს მატჩში მონაწილეობას, იმიტომ რომ სურს ითამაშოს მაყურებლების გარეშე, ხოლო ასპარეზობის ორგანიზატორები, ეყრდნობიან რა ორივე მონაწილესთან წინასწარ შეთანხმებულ შეჯიბრების პირობებს, ამაზე უარს ეუბნებიან. კორჩნოიმ შემდეგ გამოაცხადა, რომ მზადაა მოიწვიოს პრეს-კონფერენცია ციურიხში, რათა ცნობილი გახადოს თავისი მომავალი გეგმები, თუმცა, რამოდენიმე საათის შემდეგ, მან ისევ გააკეთა ახალი განცხადება — მაინც გააგრძელოს მატჩი.

აღმოჩნდა, რომ ამ დღეებში კორჩნოი არსად არ გამგზავრებულა იუგოსლავიიდან და თავისი განცხადებებით, როგორც აქ მათ განიხილავენ, ცდილობს ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინოს მოწინააღმდეგეზე, რომელმაც, როგორც ცნობილია, სამი უკანასკნელი პარტია მოიგო და, აგრეთვე, მატჩის ორგანიზატორებზე.

მატჩის მთავარმა არბიტრმა ბ. კაჟიჩმა გვაცნობა, რომ შემდეგი პარტია გაიმართება 2 იანვარს და რომ კორჩნოის მოთხოვნები — ითამაშოს დარბაზში მაყურებლების გარეშე — არ იქნება დაკმაყოფილებული.

●

## ფეხბურთი, კალათბურთი, ჰოკეი

### გდრ

XIII ტურით დამთავრდა შეჯიბრების პირველი წრე. ბოლო ტურში გაიმარჯვა ორივე ლიდერმა. „მაგდებურგი“ თამაშობდა ლაიფციგში ადგილობრივ „ლოკომოტივთან“ — 2:0. დრეზდენის „დინამომ“, რომელიც ჩემპიონის და თასის მფლობელი გახლავთ, მიიღო „ფორვერტსი“ (ოდერის ფრანკფურტი). მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა მასპინძელთა თავდამსხმელმა კ. მიულერმა.

ახლა „მაგდებურგს“ 21 ქულა აქვს, დრეზდენის „დინამოს“ — 20. მესამე ადგილზეა ბერლინის „დინამო“ — 17 ქულა.

### პორტუგალია

მდგომარეობა ლიდერთა ჯგუფში საკმაოდ დაძაბულია. პირველი ადგილის ძირითად პრეტენდენტებად ითვლებიან „ბენფიკა“, „პორტო“ და „სპორტინგი“.

მე-11 ტურში „ბენფიკა“ პრაიაში თამაშობდა „ესტორიალთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. ახლა მან 18 ქულა მოაგროვა და კვლავინდებურად პირველ ადგილზეა. 16 ქულა მოაგროვა „პორტომ“, რომელსაც ერთი მატჩი გამოტოვებული აქვს. 16 ქულით 11 თამაშიდან მესამე ადგილზეა ლისაბონის „სპორტინგი“.

### გფრ

II წრის დასაწყისში გადააყენეს კიდევ ერთი მწვრთნელი: მას შემდეგ, რაც თანდათანობით პირველი ადგილიდან მეათემდე დაეშვა, „შალკე 04“ შეელია რაუშს, რომელიც აქ წარმატებით მუშაობდა შარშან.

XIX ტურში „კიოლნმა“ გასვლით მატჩში ქულა დაკარგა (0:0) „ბოხუმთან“, მაგრამ მისი მდგომარეობა მაინც მტკიცეა. მეორე ადგილზე მყოფმა მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ დასავლეთ ბერლინში წააგო „ჰერტასთან“ — 1:2. ორი რიგითი მოგების შემდეგ „ბაიერნს“ გასვლითი მატჩი ჰქონდა ჰამბურგში ერთ-ერთ აუტსაიდერ „სტ პაულისთან“. ფრე — 0:0.

ტურის დანარჩენი შედეგებია: „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი) — „შალკე 04“ (გელზენკირხენი) 3:0, „მიუნხენ 1860“ — „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ 2:2, „კაიზერსლაუტერნი“ — „საარბრიუკენი“ 2:1, „შტუტგარტი“ — „აინტრაჰტი“ (ბრაუნშვაიგი) 5:0, „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) — „ვერდერი“ (ბრემენი) 2:0, „დუისბურგი“ — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 1:2.

19 ტურის შემდეგ „კიოლნს“ 26 ქულა აქვს, „ბორუსიას“ (მიონხენგლადბახი) და „კაიზერსლაუტერნს“ — 23-23, „შტუტგარტს“ და „ჰერტას“ (დას. ბერლინი) — 22-22. სნაიპერთა შორის 18 ბურთით პირველ ადგილზეა დ. მიულერი („კიოლნი“), 16 გოლი გაიტანა გ. მიულერმა („ბაიერნი“), 11 — ფიშერმა „(შალკე 04“).

### იტალია

XI ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ტურინისა და მილანის გუნდები, ამასთან „ინტერი“ და „იუვენტუსი“ თამაშობდნენ მილანში, ხოლო „ტორინო“ და „მილანი“ — ტურინში.

მატჩი ტურინში დიდი სიმძაფრით გამოირჩეოდა. 63-ე წუთზე „ტორინოს“ მარცხენა გარემარბმა პულიჩიმ გახსნა ანგარიში. 75-ე წუთზე მასპინძელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, მაგრამ ახალგაზრდა მეკარემ ტერანეომ აიღო „მილანის“ კაპიტნის რივერას მიერ დარტყმული ბურთი (აქამდე რივერა უნაკლოდ იყენებდა 11-მეტრიანებს). „მილანმა“ ჩემპიონატში პირველი წაგება იწვნია — 0:1. მილანშიც ასევე ტურინელებმა მოიგეს და ასეთივე ანგარიშით 1:0. გოლი გაიტანა „იუვენტუსის“ ნახევარმცველმა ტარდელიმ.

ყველაზე დიდი ანგარიში აღინიშნა ნეაპოლში, სადაც „ნაპოლიმ“ გაანადგურა „ფოჯა“ — 5:0. ხუთივე ბურთი გაიტანა ცენტრფორვარდმა სავოლდიმ, რომელიც ამის შემდეგ 11 გოლით სათავეში ჩაუდგა სნაიპერთა რიგებს.

ტურის სხვა შედეგები ასეთია: „ფიორენტინა“ — „ლაციო“ (რომი) 0:1, „ლანეროსი“ (ვიჩენცა) — „ბოლონია“ 3:0, „პერუჯა“ — „ვერონა“ 0:1, „პესკარა“ — „ატალანტა“ (ბერგამო) 0:0, „რომა“ — „ჯენოვა“ 1:0.

11 ტურის შემდეგ „მილანი“ 16 ქულით ინარჩუნებს ლიდერობას. „იუვენტუსს“ 15 ქულა აქვს, „ლანეროსსა“ და „ტორინოს“ — 14-14.

## ჭადრაკი

### საასპარეზოდ ჰოლანდიაში

ტრადიციისამებრ ჰოლანდიაში ახალი წლის დამდეგს გაიმართება ჭაბუკთა შორის მსოფლიო პირველობა. მასში საასპარეზოდ გაემგზავრა მოსკოველი ოსტატი ს. დოლმატოვი.

## თხილამურები

**როგორც** ყოველთვის ტრადიციული ოთხი ტრამპლინის ტურნე „მფრინავმა მოთხილამურეებმა“ ამ სეზონშიც 30 დეკემბერს დაიწყეს. პირველი სტარტი დასავლეთ გერმანიის ქალაქ ობერსტდორფში შედგა და იგი 18 წლის მ. ბუზემ მოიგო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდის ეს წევრი ქარისა და თოვლის მიუხედავად პირველივე ცდაზე 103 მეტრზე გადახტა, რისთვისაც 118,2 ქულა დაიმსახურა. ამან განაპირობა მისი გამარჯვება, ვინაიდან მსაჯთა კოლეგიამ მეორე ცდა უამინდობის გამო არ ჩაატარა.

II ადგილი წილად ხვდა ბუზეს თანამემამულეს მ. ვებერს — 110,1 ქულა (101,5 მ), III ადგილზეა ჯ. ილიანტილლა — 109,3 (97 მ).

საბჭოთა სპორტსმენები ათეულის მიღმა დარჩნენ.

## მხიარული ფანქრით



— მეც წამიყვანეთ!
ბიატლონისტთა საახალწლო ტრასა.

ნ. ქელეხსაშვილის ნახატები.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის 52-ე ტირაჟისა, რომელიც 28 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომრის ამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (ერთი ბარათი); ხუთი პლიუს ერთი ნომრის ამოცნობისთვის — 4811 მან. (ერთი ბარათი), ხუთი ნომრის ამოცნობისთვის — 3811 (74), ოთხისთვის — 77 მან (3827), სამისთვის — 5 მან (77051).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერავინ ამოიცნო. მისთვის, ვინც ხუთი პლიუს ერთი ნომრის ამოცნობა შეძლო, მოგება შეადგენს 4636 მანეთს (ერთი ბარათი); ხუთი ნომრის ამოცნობისთვის — 3636 მან (38), ოთხისთვის — 71 მან (2310), სამისთვის — 4 მან. (41065).

მოგებული თანხის გაცემა იწარმოებს 8 იანვრიდან 8 თებერვლის ჩათვლით.

● ● ●

**31 დეკემბერს** მოსკოვში გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს“ (36-დან 5) მორიგი, 51-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები.

პირველი: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 9 (წყალბურთი), 18 (მძლეოსნობა), 19 (თხილამურებით რბოლა), 36 (ჰოკეი).

მეორე: 1 (კალათბურთი), 7 (ტრეკზე ველორბოლა), 11 (ტანვარჯიში), 22 (ცურვა), 25 (ციგაობა).

რედაქტორი
ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-57; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორესპონდენტების — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.